საქართ. შემარცხენე სოც.-ფედერალისტთ. სარევოლიუციო პარტიის — მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

შაბათი სექტემბრის 30 1922 წ.

ტფილ. ფასი 50სს მან. ▭ პროვინც. 6000 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასკომის პრეზიდიუმის** დადგენილების თანახმად ა. წ. სექტემბრის 30-თვის **მოწვეულია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური**

## აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი სესია,

### შემდეგი დღიური წესრიგით:

1) მოხსენება ს—ს ცაკის პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ. (მომხსენებელია ფ. მახარაძე).
2) პროექტი სამაზრო და თემთა აღმასკომების რეორგანიზაციის შესახებ. (მომხსენებელია შინ. საქმეთა სახ. კომის. ს. გეგეჭკორი).
3) ბორჯომის რაიონის დამოუკიდებელ მაზრად გამოყოფის და შორაპნის მაზრის ცენტრის ქუთაისში გადატანის შესახებ.
4) მიწათმოწყობის დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ. (მომხსენებელია მიწათმოქმედების სახ. კომ. ს. თოდრია).
5) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი. (მომხსენებელია ს. ქავთარაძე).
6) პროექტი დებულებისა ადვოკატურის შესახებ. (მომხსენებელია ს. ქავთარაძე).
7) პროექტი დებულებისა პროკურატურის შესახებ. (მომხსენებელია ს. ქავთარაძე).
8) საერთო დებულება გადასახადთა სისტემის შესახებ. (მომხსენებელია ფინანსთა სახ. კომისარი).
9) მოხსენება სიმშილზე. (მომხსენებელია ფ. მახარაძე).

რადგან განსახილველი საკითხები ფრიად საყურადღებოა, დასწრება ცაკის ყველა წევრებისათვის აუცილებელია.

სესიის გახსნის დღე და საათი გამოცხადებული იქნება კვირის ნომერში.

**ს—ს ცაკის პრეზიდიუმი.**

---

შაბათს, სექტემბრის 29, საღამოს 6 საათზე, ქალაქის აღმასკომის შენობაში

## დანიშნულია მორიგი კრება ტფილისის საბჭოს აღმასკომისა

### დღის წესრიგი:

1) ქალაქის აღმასკომის სმეტის დამტკიცება წლ ს მეორე ნახევრისათვის,
2) კოლექტიური ხელშეკრულების შესახებ და
3) სხვა.

ყველა წევრის თავის დროზე გამოცხადება სავალდებულოა.

მდივანი: **ხუნდაძე.**

№ 50 — 1—1

---

**ჩვენი მერანი**

საგამომცემლო ამხანაგობა, ყოველგვარი სახელმძღვანელო ქართულ ენაზედ. ერევნის მოედანი, აღმასკომის ქვეშ.

№ 51 — 3—1

---

## ფინანსიური პოლიტიკისთვის.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის ჩამოყალიბების პროცესში თავის თავად წამოიჭრენ ისეთი საკითხები, რომელთაც გადამჭრელი და მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრებისათვის. ფედერალიზმი სრულებით ახალი არ არის ჩვენი ერებისათვის, ამიტომ პრაქტიკულად მისი განხორციელება და ამ პროცესში სავსებით დაცვა ერების ინტერესებისა მეტად ძნელს საქმეს წარმოადგენს. თეორიულად ფედერალიზმის პრინციპების გადაჭრა და მისი ფორმების გამოკვლევა ადვილი საქმე არის. მაგარი მარქსისტული არგუმენტაციაც კი ვერ უძლებს ფედერალიზმის პრინციპებსა და მის მნიშვნელობას, ამიტომ თეორიულად მარქსისტულმა მოაზროვნეებმაც კი ქედი მოიხარეს ამ პრინციპების წინაშე და თავიანთ—პრაქტიკული პოლიტიკის საგნად გახადეს ფედერაციის განხორციელება. მაგრამ სიძნელე და გაურკვევლობა სწორედ მაშინ დაიწყო ფედერაციისათვის, როდესაც საქმე რეალურ სინამდვილეს მიადგა, ფედერალიზმის ოპორტუნისტები უძლურნი გამოდგნენ მისი პრინციპები პირნათლად დაეცვათ რეალურ სინამდვილეში გატარების დროს და ძლიერ ხშირად დებულობს მახინჯის სახეს.

ამიერ-კავკასიის ფედერაციას უკვე ექვს თვეზედ მეტი ისტორია აქვს, მაგრამ ჯერაც არ არის გამომუშავებული მისი კონსტიტუცია. უფრო—მეტი ჯერაც არ გვაქვს გარკვეული გეგმები და მეთოდები დაკავშირებისა. არ ვიცით რას ვაერთიანებთ, რომელ დაწესებულებებისა და დარგების დაკავშირებაა საჭირო და როგორის მეთოდებით, როგორის ფორმებში. მთელს რიგ კითხვებში ამ მხრივ დაშვებულია შეცდომები და გაუგებრობა, რომელიც დაჟინებით თხოულობს გადასინჯვასა და შესწორებას.

ამ წერილში ჩვენ გვინდა მხოლოდ ერთს მომენტზედ, ფინანსიურს საკითხზედ შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება და მიუთითოთ იმ პოლიტიკურს ხაზზედ, რომელზედაც უნდა დაადგეს ჩვენი ფედერალური საქმე.

ფინანსების საკითხს, ფინანსიურს პოლიტიკას დიდი ადგილი უჭირავს ეკონომიური ცხოვრების ვითარებაში. გლახა და ყალბი ფინანსიური სისტემის გამომუშავებით შეიძლება მთლად მომავალ ერის ეკონომიური ცხოვრება და მისი სამეურნეო ვითარება ძლიერ შეაფერხოს. მეორეს მხრით, დღევანდელმა საერთაშორისო ეკონომიურმა მდგომარეობამ, ომისა და რევოლიუციის შედეგებმა, იმდენად მოშალა ეკონომიური ცხოვრება, დაარღვია სამეურნეო ურთიერთობანი და პირობები, რომ შეუძლებელი ხდება სწორი ფინანსიური პოლიტიკის გამომუშავება. დღეს მთელი მსოფლიო ფინანსიურს ვაკხანალიას განიცდის და ამ მხრივ წონასწორობის აღდგენა ვერ შესძლეს დიდმა სახელმწიფოებმაც კი. უდეფიციტო ბიუჯეტისა და რაციონალური საგადასახადო სისტემის შემოღება შეუძლებელი შეიქმნა დღევანდელს პირობებში მდიდარი ერებისათვისაც. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ ამიერ-კავკასიის ღარიბი ერებისათვის, რომელთა ეკონომიური ცხოვრება მოშლილი და დარღვეულია, პირდაპირ შეუძლებელი გახდა სწორი ფინანსიური სისტემის გამომუშავება. ამ მხრივ საბჭოთა რესპუბლიკები ძლიერ მოიკოჭლებენ და ეს იქნება მანამდე, სანამ ჩვენ არ აღვადგენთ ჩვენს სამეურნეო ცხოვრებას, არ ავაყვავებთ ჩვენს ინდუსტრიასა და სოფლის ეკონომიკას; ჩვენი ეკონომიკის აყვავება და მისი პროდუქტივობის გაფართოვება თავის თავად ნიშნავს ჩვენი ფინანსების გაჯანსაღებას. სანამ ეს არ მომხდარა და სახელმწიფოს შემოსავლის მთავარ წყაროს შეადგენს საბეჭდი მანქანები უმთავრესად, მანამდე ფინანსების გაჯანსაღებაზედ ლაპარაკი ძნელი საქმეა.

დღევანდელს გარდამავალს პერიოდში, როდესაც გაცხარებული ბრძოლა სწარმოებს ჩვენს ეკონომიურს ფრონტებზედ, ჩვენი მთავარი მიზანი უნდა იყოს ფინანსიურს პოლიტიკის სფეროში, რომ იგი შევუწონოთ ცხოვრების მიმდინარეობას. გაცხოველებულ ბრძოლას სამეურნეო ფრონტზედ და ყალბი ფინანსიური სისტემით არ დავარღვიოთ, არ შევაფერხოთ ეკონომიური აღორძინების საქმე. თუ ფინანსიური სისტემა არ შეუფერეთ ჩვენი ეკონომიური ცხოვრების ვითარების საქმეს და მისი საწინააღმდეგო მიმართულება დავიჭირეთ ამ დარგში, ამით ჩვენ ხელოვნური ზღუდეებს დავუდებთ ჩვენს მეურნეობას და ჩვენივე ხელებით შევაფერხებთ მის წარმატებას.

ამ ჟამად ჩვენთვის არ არის მთლიანი ფინანსიური სისტემა. ამიერ-კავკასიის ფედერაციამ ვერ მოგვცა დამთავრებული სისტემა ჩვენი ფინანსიური პოლიტიკისათვის. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დღესაც არ ვიცით ვისთან და როგორი სახით ვაერთიანებთ ჩვენს ფინანსიურ საქმეებს. კომპარტიების პრესაში ამ საკითხის შესახებ სხვა და სხვა აზრები იყო გამოთქმული.

ერთი მიმდინარეობა მოითხოვდა ამიერ კავკასიის ფარგლებში გაერთიანებას, მეორე კი—საბჭოთა რუსეთთან გაერთიანებისაკენ მოგვიწოდებს, იყო სხვა გვარი მოსაზრებანიც გამოთქმული.

ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ამ ორ მოსაზრებას. თავის თავად ცხადია, რომ იქ, სადაც არსებობს ფედერაცია და მყარდება საკავშირო სისტემა, ფინანსების საქმე და მისი ზოგადი პრინციპიალური მოგვარებაც ფედერალურ საბჭოს ხელში უნდა იქმნეს. პირდაპირ დაუშვებელი იქნება, რომ ფინანსიურ პოლიტიკის საქმე ცალკ-ცალკე რესპუბლიკების ხელში დარჩეს და ისინი განაგებდენ ამ საქმეს დამოუკიდებლად. ცხადია ამ დარგში საჭიროა ერთობა და პრინციპიალური შეთანხმება. ფინანსიური სისტემა უწინარეს ყოვლისა გულისხმობს ბიუჯეტის, გადასახადისა და ემისიის საქმეებს უმთავრესად. ამ დარგებში ჩვენმა ფედერაციამ უნდა შესძლოს მთლიანობის მიღწევა და ერთიანი პოლიტიკური ხაზის გამომუშავება. პრინციპიალური ერთნაირი სისტემა აუცილებელი საჭიროა ამ დარგებში, მაგრამ ეს ვერ იქნება ცალკე რესპუბლიკების ინტერესების გარეშე, მათი მდგომარეობისა და მოთხოვნილებების გაუთვალისწინებლად, მათი ეკონომიური ენერგიისა და შესაძლებლობის გამოურკვევლად. ხელ აღებით გაერთიანება ფინანსიური სისტემისა და ყოველგვარ სამეურნეო პრინციპის გარეშე შეუძლებელი და მავნებელია. ჩვენ უნდა ისეთი გზა გამოვნახოთ ფინანსიური დარგების დაკავშირების საქმეში, რომელიც საშუალებას მოგვცემს არ დავარღვიოთ არსებული ეკონომიური დონე ცალკე რესპუბლიკებში და არ შევქმნათ ხელოვნური ზღუდეები მათი წარმატებისათვის. ჩვენს ფინანსიურს პოლიტიკას ერთი უმთავრესი მიზანი უნდა ასულდგმულებდეს: გაჯანსაღება ჩვენი ფინანსებისა საერთოდ ისე, რომ ეს გაჯანსაღება არ მოხდეს რომელიმე რესპუბლიკის ხარჯებზედ და მისი ეკონომიური შევიწროებით. ის პოლიტიკა, რომელიც გვეუბნება, რომ გაერთიანება ჩვენთვის, ერთი რომელიმე რესპუბლიკისათვის არის კარგი და ამიტომ ამ გზით უნდა გავერთიანდეთო, ჩვენი საქმიანობისათვის ვერ გამოდგება, „შენ წახდი და მე ამაშენეო" პოლიტიკა არ უნდა დაედვას ჩვენს ფინანსიური სისტემის გაერთიანების საქმეს.

მეორეს მხრით ჩვენ ყოვლად დაუშვებლად მიგვაჩნია ის პოლიტიკა, რომელიც გვეუბნება, რომ ფინანსიური გაერთიანება საბჭოთა რუსეთთან მოვახდინოთო. ამ დებულების დამცველნი ელემენტარულ პოლიტიკურ და ეკონომიურ მოსაზრებებსაც არ ემყარებიან, ერთი წუთითაც არ იღებენ მხედველობაში ჩვენს ინტერესებსა და მდგომარეობას. ამ პოლიტიკის მიმდევარნი უბრალოდ მოქმედებენ და იოლი არგუმენტაციით სჭრიან საკითხს. რასაკვირველია, ასეთი მეთოდი დიდი სახელმწიფოებრივი საკითხების გადაჭრის დროს ჩვენ ვერ გამოგვადგება.

რას ნიშნავს პოლიტიკურად ამიერ-კავკასიის ფინანსების საბჭოთა რუსეთთან გაერთიანება? პოლიტიკურად ეს იმას ნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაცია აღარ წარმოადგენს დამოუკიდებელ ერთეულს, იგი რუსეთის განუყოფელი ნაწილია. ამ პოლიტიკის მიმდევარნი მხედველობიდან უშვებენ იმ გარემოებას, რომ ამიერ-კავკასია დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენს და ეს მისი დამოუკიდებლობა დაცული უნდა იქმნეს ყოველგან და ყოველთვის. რუსეთთან ჩვენი ფინანსების გაერთიანება, ერთი საბიუჯეტო სისტემის შემოღება, ერთიანი გადასახადის სისტემის დამყარება და ემისიის შექმნა საერთო ნიადაგზედ, ჩვენს მხარეს თავისთავად პროვინციის მდგომარეობამდე დაიყვანს და წაართმევს მას სახელმწიფოს ატრიბუტებს.

ასეთი გეგმები უწინარეს ყოვლისა მიმართული არის ჩვენი ფედერაციის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. საბჭოთა მოღვაწეების რიგებიდან ზოგიერთებს ვერ მოუნელებიათ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელი არსებობა და დღეგამოშვებით ითხზება გეგმები მათის წინააღმდეგ.

ჩვენ ერთი წუთითაც არ შეგვიძლია დაუშვათ ის, რომ ამიერ-კავკასიის ერები კვლავ შეიქმნენ ვისიმე გუბერნიები და დაჰკარგონ თავიანთი სუვერენული უფლებები... ეს კარგად უნდა ესმოდეს ყველას. ერთიანი ფინანსიური სისტემის შემოღება ყველა რესპუბლიკებისათვის ფაქტიურად დაუმორჩილებს ამიერ-კავკასიას რუსეთის ცენტრალიზმს და გადააქცევს ჩვენს რესპუბლიკებს ეკონომიურად და პოლიტიკურად გარეშე ძალის მონა-მორჩილად და მის კოლონიად.

კითხვა იბადება, როგორი არგუმენტაციით ამართლებენ ეს პოლიტიკოსები ასეთს გეგმებს? მათი მზაკვრი არგუმენტაცია არის ეკონომიური ფაქტორები, საერთოდ ყოველგვარ გაერთიანებას ასეთი ფაქტორები უდევს სარჩულად. ცენტრალისტები პრიმიტიულად მსჯელობენ: ამიერ-კავკასიას დიდი ეკონომიური დამოკიდებულება აქვს რუსეთთან, მათი ურთიერთობა ექსპორტის და იმპორტის საქმეში შედარებით სხვა ერებთან დიდია, ამიტომ ამ ეკონომიურ ურთიერთობის გასაფართოვებლად და წარმატებისათვის საჭიროა მათი ფინანსიური გაერთიანება. ამ არგუმენტაციას რომ დავუჯეროთ, მთელი მსოფლიოს გაერთიანება დაგვჭირდება, რადგან ეკონომიურად მსოფლიოს ყოველი ნაწილი განუწყვეტელ ძაფებით არის ერთი-მეორეზედ გადაბმულნი. მაგრამ ეს შეუძლებელია და არც ერთი სახელმწიფო არ დასთანხმდება ასეთი ოპერაციისათვის, თუ ამიერ-კავკასიას დიდი ეკონომიური დამოკიდებულება აქვს რუსეთთან, საჭიროა ამ ურთიერთობის მოწესრიგება, სავაჭრო დამოკიდებულების გაფართოება და არა სახელმწიფოებრივი გაერთიანება. ჩვენი ვაჭრობის გაფართოების ინტერესი მოითხოვს შესაფერ სავაჭრო ხელშეკრულების დადებასა და მოწესრიგებას და არა ბიუჯეტის, გადასახადებისა და ემისიის გაერთიანებას, ასეთი ოპერაცია ყოვლად დაუშვებელია ჩვენი რესპუბლიკების დამოუკიდებლობის საზიანოთ.

მეორე არგუმენტი, რომელიც მოჰყავთ გაერთიანების მომხრეებს ის არის, რომ რუსეთში წელს მოსავალი კარგი არის და ამიტომ იქ ხდება ფულის კურსის სტაბილიზაცია. ამიერ-კავკასიაში კი ფულის კურსი ეცემა, ამიტომ რუსული ფულის შემოღება ჩვენში გამოიწვევს ჩვენი ფინანსიური მდგომარეობის გაჯანსაღებას. ეს მოსაზრებანი ფაქტიურად არ არის მართალი. რუსული ფულის კურსის სტაბილიზაციაზედ ლაპარაკი შეუძლებელია ამ ჟამად, მეორეს მხრით არც ფასები ეცემა რუსეთში.- მოსავლის მდგომარეობა თავისთავად კარგია, მაგრამ მარტო ის ვერ გააჯანსაღებს რუსეთის ფინანსებს. მეორეს მხრით ამ ბოლო ხანამდი, სანამ ხელოვნურად ბათომის ბაზარი დაიკეტებოდა, ჩვენში საქონლის ფასები ეცემოდა და ფულის კურსი ბევრად მაღლა იდგა რუსეთის ფულზედ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ რუსული ფულის შემოღება ამიერ-კავკასიაში და მთელი საფინანსო პოლიტიკის გაერთიანება, ეკონომიურად დასწევს ჩვენს მხარეს და არ მისცემს მას წარმატების საშუალებას. რუსეთი თავისი შინაური მდგომარეობითა და დარღვეულ ეკონომიკით იმდენად დატვირთულია, რომ მისი გემი ვერ აიტანს ჩვენი რესპუბლიკების ზიდვასაც და ძლიერ შეაფერხებს ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებას.

ჩვენი ინტერესი მოითხოვს დავიცვათ ამიერ-კავკასიის ინტერესები და მისი დამოუკიდებლობის განმტკიცებას შევუდგეთ როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურადაც. ამიერ-კავკასია იმდენად მდიდარი არის თავისი სამეურნეო ძალებითა და შესაძლებლობით, რომ თავისუფლად შეუძლია თავისი არსებობა დაიცვას ასეთი გაერთიანების გარეშე.

ჩვენი ფინანსიური პოლიტიკაც ამ საერთო გეგმებს უნდა შევუწყოთ და ამიერ-კავკასიის ერთა ინტერესების სა[illegible] შევიმუშაოთ.

Sanus.

---

## საქ. ცენტრალური აღმასკომის სესია

ამ დღეებში სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასკომის სესია. პირველი სესიის დასრულების შემდეგ, ჩვენს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ადგილი ქონდა მთელ რიგ პოლიტიკურ მოვლენებს, რომლის შეფასება და თავის დასკვნის გამოტანა მნიშვნელოვანი აქტი იქნება ცენტრალური აღმასკომის მიერ.

აღმასკომის სესიის პროგრამა შეიცავს მეტად მნიშვნელოვან საკითხებს, რომელიც დაუყოვნებლივ მოითხოვს მოწესრიგებას და სათანადო გეგმის გამომუშავებას.

ერთი უმთავრესი საკითხი ცენტრალურ აღმასკომის სესიისათვის აუცილებლად უნდა იქნეს საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის შეფასება და მისი ურთიერთობის გარკვევა როგორც ამიერ-კავკასიის ფედერაციის მიმართ, ისე საბჭოთა რუსეთის მიმართაც. ამ მხრივ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება, რადგან სახელმწიფოებრივ ფუნქციათა აღრევა და გამაერთიანებელი პო-

[illegible]იტიკა როგორც ამიერ-კავკასიის მაშტაბით, ისე რუსეთის მაშტაბითაც, რომელსაც ადგილი აქვს დღეს, მოითხოვს გადასინჯვას და გარკვეული ნორმების გამომუშავებას, რომლის ფარგლებში უნდა ხდებოდეს ცენტრალური აღმასკომის მოქმედება და დაცულ უნდა იქმნეს მკაცრად საქართველოს სახელმწიფოებრივი ატრიბუტები.

ჩვენ საბჭოთა ყრილობაზე, როდესაც წამოვაყენეთ საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის პროექტი და ვამტკიცებდით ამიერ-კავკასიის ფედერაციის მიზან-შეუწონლობას, კარგად გვქონდა გათვალისწინებული ის მდგომარეობა, რომ თუ საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობისათვის არ იქნებოდა რაიმე გარკვეული ნორმები გამომუშავებული, ამ ურთიერთობას მიეცემოდა ის ხასიათი, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაცია დაკარგავდა დამოუკიდებელი რესპუბლიკის ატრიბუტებს, რადგან მას მოუხდებოდა ურთიერთობა საბჭოთა რუსეთთან ყოველივე ნორმიზაციის გარეშე.

სინამდვილემ და პოლიტიკური მოვლენების მსვლელობამ ჩვენ უკვე ასეთი ფაქტის წინაშე დაგვაყენა, რაც მოითხოვს შექმნილი მდგომარეობის გაშუქებას და გადაფასებას მოვლენებისას იმისაგან, ვინც ერთად ერთი სრულ უფლებოვანი წარმომადგენელია საქართველოს მუშათა კლასისა.

ცენტრალური აღმასკომის სესიის წესრიგში მრავალი საკითხია დასმული, რომელიც დიდი ღირებულების მქონეა, როგორც მაგალითად: საკითხი სამაზრო და თემთა აღმასკომების რეორგანიზაციის შესახებ, საკითხი ადვოკატურის შესახებ, გადასახადთა სისტემის შესახებ, სისხლის სამართლის კოდექსის შესახებ და სხ. მაგრამ ყველა ეს საკითხები, მიუხედავად მისი უდიდესი მნიშვნელობისა, მეორე ხარისხოვან საკითხებად უნდა იქნეს მიჩნეული, რადგან თუ გარკვეული არ იქნება მკაცრად ამიერ-კავკასიის ფედერაციისა და ფედერაციაში შესულ სახელმწიფოთა უფლება-მოვალეობანი, არც ერთი საკითხის გადაწყვეტას არ ექნება მკვიდრი ნიადაგი.

როგორც ვხედავთ, ცენტრალურ აღმასკომს განსაკუთრებულ პირობებში უხდება მუშაობა. ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ამბებიც მოითხოვს სათანადო ნაბიჯების გადადგმას.

ცენტრალურმა აღმასკომმა თავისი ავტორიტეტული სიტყვა უნდა სთქვას ყოველი საკითხის შესახებ და პასუხი უნდა გასცეს ყოველ კითხვას, რომელსაც აყენებს საქართველოს მუშათა კლასის სასიცოცხლო ინტერესები.

ს.-ელი.

# ნარკვევი

**ძველი ოპოზიციონერი გიორგი ლედებური**

გაზ. „პრავდის" თანამშრომელს მოყავს ცნობები გერმანიის დამოუკიდებელ პარტიის ბელადის გ. ლედებურის შესახებ, მოგვყავს შემოკლებით.

დამოუკიდებელთა და სოც.-დემოკრატების გაერთიანების წინააღმდეგი, გიორგი ლედებური, ამას წინად კინაღამ გასრისა ბერლინში ტრამვაის ვაგონმა. ის უგრძნობლად აიღეს და საავადმყოფოში წაიყვანეს.

გიორგი ლედებური არის ეგრედ წოდებული „დამოუკიდებელ სოც.-დემოკრატიულ პარტიის" ლიდერი. ის უკვე 70 წელს გადაშორდა და ეგონათ, რომ ტრამვაის ვაგონთან შეტაკება მას ბოლოს მოუღებდა, მაგრამ ლედებური მორჩა, განახლებული ენერგიით შეუდგა აგიტაციას წინააღმდეგ ხსენებული გაერთიანებისა. ის მარტო არ სდგას ამ პოზიციაზედ. მან ისიც კი განაცხადა, რომ თუ პარტიული უმრავლესობა დაადგენს გაერთიანებას, ის ყოველ ღონეს იხმარს, რომ დამოუკიდებელთა პარტია მაინც დარჩესო. ეს აზრი მან შემდეგ წერილობითაც დაადასტურა პარტიულ პრესაში.

ლედებური 40 წლისა იყო სოც. დემ. პარტიაში რომ შევიდა. ჯერ ის არტისტობისათვის ემზადებოდა, მაგრამ ფეხი მოიტეხა და მასწავლებლობას მოჰკიდა ხელი. შემდეგ ამასაც თავი გაანება და გახდა ლიტერატორი და დემოკრატი. მე-90 წლების დასაწყისში ლედებური დარწმუნდა, რომ მისი ადგილი არაა ბურჟუაზიულ დემოკრატიაში და გავიდა სოც.-დემოკრატიულ პარტიაში. რევიზიონისტულ ნაწილს პარტიისა ის არ უყვარდა მისი რევოლიუციონერობისათვის.

მისი სიტყვების სარკაზმმა და გამანადგურებელმა ირონიამ ის გახადა სახალხო კრებების საყვარელ ორატორად. პოლემიკაში ის თავშეუკავებელი იყო და ერთხელ ბებელმაც კი უსაყვედურა უტაქტობა.

მოხუცი ლიბკნეხტის გარდაცვალების შემდეგ, ლედებურს დარჩა წარმომადგენლობა ბერლინის ყველაზედ დიდის, მე-6 საარჩევნო უბნისა. ამან დიდად ასწია მათი პრესტიჟი, ვინაიდან მე 6 უბანს დიდი წონა და გავლენა ჰქონდა პარტიაში. ეს უბანი იყო რადიკალური სულის მატარებელი პარტიაში. ახალი დეპუტატი არ უყვარდათ რეიხსტაგში, მაგრამ არ შეიძლებოდა ანგარიში არ გაეწიათ ლიბკნეხტის მოადგილისათვის. პარლამენტის სტატისტიკაში აღნიშნული იყო, რომ ერთი სესიის განმავლობაში თავმჯდომარემ 50 ჯერ მოუწოდა ლედებურს „წესიერებისაკენ".

ომისა და რევოლიუციის დროს ლედებურმა დიდი გავლენა მოიპოვა გერმანიის პარტიულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს ერთი იმ 14 წევრებში სოც.-დემოკრატიულ ფრაქციისა, რომლებმაც ომის დასაწყისში სამხედრო კრედიტების წინააღმდეგ მისცეს ხმა. შემდეგ ის გადის ფრაქციულ კომიტეტიდან, ვინაიდან არ უნდოდა პასუხისმგებელი ყოფილიყო მის პოლიტიკაში. ომის საწინააღმდეგო ბრძოლა ლედებურისა პარტიაში დასრულდა მისი მონაწილეობით ციმმერვალდის კონფერენციაში 1915 წელს. ამ კონფერენციის მოწოდებას ლედებურიც აწერდა ხელს.

ეს აგრძელებს ოპოზიციას ფრაქციაში და პარლამენტში, რასაც თან ახლდა ფრაქციული დისციპლინის დარღვევა. ყველაზედ უწინ ამას არ დაერიდა კარლ ლიბკნეხტი, რომელსაც მუდამ უჭერდა მხარს ლედებური. ეს უკანასკნელი აგრძელებდა, ავითარებდა ოპოზიციას და მიყავდა ის სრულ განხეთქილებამდი. მაგრამ ამ დროს მოუსწრო ოპოზიციამ მარცხნიდან. რუსეთის და გერმანიის რევოლიუციამ წამოაყენა ახალი ლოზუნგები და მოთხოვნილებანი, რომლის შეთვისება უჭირდა ახალ პარტიას. მას კიდევ ღრმა კავშირი ჰქონდა ერფურტის ძველ პროგრამასთან და ლედებურსაც დაეტყო მერყეობა, ის ვერც პარტიულ ამხანაგებს შორდებოდა, პირველ რევოლიუციონურ მთავრობაში რომ შევიდნენ და სპარტაკელების ჯგუფისკენაც იხრებოდა. ეს სათავეში ჩაუდგა ბერლინის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და რევოლიუციის ინტერესების დაცვაში გაატარა 1919 წლის იანვარი, როცა ის დაიჭირეს და ბრალი დასდვეს მთელ რიგ სახელმწიფო დანაშაულში.

1919 წლის ზაფხულში ოთხი კვირა გრძელდებოდა „ლედებურის პროცესი" ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში. ბრალად ედებოდა შეიარაღებული რაზმების მოწყობა, აჯანყების ორგანიზაცია და ასაფეთქებელ ნივთიერებათა შესახებ კანონის დარღვევა. მაგრამ გაამართლეს. მიუხედავად მოხუცებულობისა და კარგა ხანს ციხეში ჯდომისა, ლედებურმა პროცესი ჩაატარა დიდი მხნეობით და რევოლიუციონური ენერგიით.

გალეში მომხდარ ყრილობაზედ პარტია გაიყო კომუნისტებად და დამოუკიდებლებად. ლედებური დარჩა უმრავლესობაში. მაგრამ დამოუკიდებელთა შორის ეს სასტიკი წინააღმდეგი იყო კოალიციონური პოლიტიკის. ეს ამ ხაზზედ დარჩა დღემდის, როცა მემარჯვენეებთან გაერთიანებას, როგორც ეტყობა, თვითონაც მოელის.

მიუხედავად ამის, ის მაინც იბრძვის გაერთიანების წინააღმდეგ. ლედებური გრძნობს, რომ დამოუკიდებელთა პარტიის მოსპობა გაამრავლებს უფსკრულს გაერთიანებულ სოც.-დ.-ებს და კომუნისტებს შორის, მაშინ გერმანიაში შეიქნება გაერთიანებული ფრონტის მაგიერ ორი პარტია: ბურჟუაზიულ-რეფორმისტული და რევოლიუციონური.

ენკენისთვის 20 უნდა მომხდარიყო დამოუკიდებელთა ყრილობა, სადაც ლედებური, კრისპიენთან ერთად გამოვიდოდა თანამომხსენებლად გაერთიანების შესახებ. ვნახოთ გადაარჩინა თუ არა მან დამოუკიდებელთა პარტია, რისაც მას დიდი იმედი ჰქონდა.

# ჟურნალ—გაზეთებიდან

**საფრანგეთი მოხარული არის ოსმალების გამარჯვების იმდენათ...** „პტი პარიზიენი" ურჩევს ინგლისს ზომიერი იყოს სრუტეების საკითხის მოწესრიგებაში. ახლა, სწერს გაზეთი, ჩვენ უნდა ურჩიოთ ჩვენს ინგლისელ მეგობრებს თავი შეიკავონ დაჩქარებული და მოუფიქრებელი ნაბიჯებისაგან ახლო აღმოსავლეთში, მას შემდეგ, რაც საფრანგეთი სოლიდარული აზრისაა სრუტეების საკითხში ინგლისთან, ჩვენი მოვალეობაა ვთხოვოთ მათ თავიდან აცილებულ იქნეს ისეთი რამ, რაც ოსმალებს თავზე ხელაღებამდი მიიყვანს. გაზეთი უმატებს, რომ ოსმალებს ახლა სრული საშვალება აქვთ საპატიო ზავი მოიპოვონ.

**ხმები პოლონეთ—ჩეხო-სლოვაკიის საიდუმლო ხელშეკრულების შესახებ.** პრაგის პრესის მტკიცებით, გერმანულ გაზეთებში დაბეჭდილი საიდუმლო ხელშეკრულების ტექსტი ჩეხო-სლოვაკიისა და პოლონეთს შორის, მოჭორილი არის თავიდან ბოლომდი. როგორც ბენეშმა განაცხადა, მარიენბადში გამომუშავებული იყო მხოლოთ ისეთი პირობები, რომელნიც ამტკიცებენ 1921 წლის ხელშეკრულებას, რომელნიც გამოქვეყნებული იქნება რატიფიკაციისთანავე, მარიენბადში არავითარი საიდუმლო ხელშეკრულება არ ყოფილა დადებულიო,—განაცხადა მინისტრმა.

**სახელმწიფოებრივი გადაბრუნების ცდა ბოლგარეთში.** სოფიიდან იტყობინებიან, რომ ბოლგარეთის ოპოზიციამ, რომელიც კავშირში იმყოფება რუსულ რეაქციულ წრეებთან, სცადა სახელმწიფოებრივი გადატრიალების მოხდენა, მაგრამ უნაყოფოთ. ჩხრეკის დროს ვრანგელელებს აღმოაჩნდათ დოკუმენტები, რომლითაც მტკიცდება ვრანგელელების და ადგილობრივი რეაქციონერების სრული კონტაქტი. მრავალი დატუსაღებული არის. ოპოზიციონურმა პარტიებმა სცადეს მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციის გამართვა ტირნოვში, რომელსაც გლეხების მთავრობის მომხრე პარტიამ ანტი-დემონსტრაციით უპასუხა. ამ ამბების გამო, მთავრობის მიერ მოწვეული არის პარლამენტის საგანგებო სესია.

**საფრანგეთის ოკუპაციის სკანდალი.** რეინის ოლქის ოკუპაცია ფრანგებს, როგორც ფულით, უფრო მეტი უჯდებათ, ვიდრე დღემდე ნაღდად მიღებული არის გერმანიის რეპარაციით. მეტად დამახასიათებელია ფრანგი ოფიცრების ჯამაგირი (მარკებით) თვიურათ, გერმანელებთან შედარებით:

| | ფრან. | გერ. |
|---|---|---|
| ლეიტენანტი | 39,000 | 4.720 |
| კაპიტანი | 49,600 | 5.675 |
| კომენდანტი | 51,400 | 6.632 |
| პოდპოლკოვნიკი | 64,000 | 8.295 |

ამრიგათ, კურსის მიხედვით, ფრანგი ლეიტენანტი მეტს იღებს, ვიდრე გერმანელი დივიზიის კომანდირი, კაპიტანი მეტს,—ვიდრე გერმ. მინისტრი, კომენდატი მეტს,—ვიდრე რეისკანცლერი, ხოლო პოდპოლკოვნიკი მეტს,—ვიდრე გერმანიის რესპუბლიკის პრეზიდენტი. ეს ციფრები მოყვანილი აქვს ფრანგ გენერალ პერსენს ტულუზის გაზეთ „მიდი"-ში.

**„ამერიკული მუშათა პარტიის" შექმნა.** პროგრესიულ, სოციალისტურ და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების კონფერენცია ქ. ნიუ-იორკში დამთავრდა ფართო მუშათა პარტიის შექმნით ნიუ-იორკის შტატში:—„ამერიკან ლეიბორ პარტინს". ახალ პარტიაში შედიან: სოციალისტური პარტიები, სახ.-სამეურნეო მუშების ორგანიზაცია, პოალეიციონ, პროგრესიული პროფესიონალური კავშირები და სხ. კონფერენციამ ამოირჩია 120 კანდიდატი მომავალ არჩევნებისათვის და ნიუ-იორკის ორგანიზაციის ბიურო, სადაც სხვათა შორის არჩეული არიან: მ. გილკვიტი, გ. ბლეჩი და დეონელი. სოციალისტური და სხვა პარტიები, რომელნიც ახალ პარტიაში შედიან, დამოუკიდებელი კორპორაციებათ რჩებიან შემდეგშიც. კონფერენციაზე მიღებულ რეზოლიუციებში აღსანიშნავია რეზოლიუცია საბჭოთ-რუსეთის და მექსიკის დაუყოვნებლივ ცნობის შესახებ.

**ნავთის კონცესიები სპარსეთში.** გასული წლის ნოემბერში პარლამენტმა დაადგინა მისცეს ამერიკულ „სტანდარტ-ოილს" კონცესიები 50 წლით ჩრდილოეთის პროვინციებში. ამის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა სპარსელ-ინგლისის ნავთის კომპანიამ. მოლაპარაკების შემდეგ მოხდა შეთანხმება და სპარსეთის მთავრობამ მიიღო ავანსათ 1 მილ. დოლარი. მეჯლისმა დაადგინა გამართოს მოლაპარაკება სხვა ამერიკულ დამოუკიდებელ ფირმებთან.

# ზოგი რამ

**ა. ასე ყოფილა ძველად.**

ხალხი პირწმინდა რასად არსად ცხოვრობს და რეულად უცხო ტომელები ყოველთვის მოეპოვებიან. ამის გამო ვერც აიცდენს თავიდან მათ თანამშრომლობასა. პირიქით, რამდენადაც ხალხი სახელმწიფოებრივად განვითარებულია, იმდენად უფრო შეჰგუებია უცხო ტომელთა თანამშრომლობის პრინციპსა.

საქართველოშიაც ამასვე ვხედავთ.

ოქროს ხანა ქართველთა ხალხის სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა ჰბრწყინავს აგრეთვე უცხო ტომელთა სახელებით, რომელიც იპოება როგორც კარის კაცთა ცხოვრებაში, ისე სამხედრო თუ სამოქალაქო მოღვაწეობის ასპარეზზე. მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ვისაც არ სჯერა, წაიკითხოს საქართველოს ისტორია და დარწმუნდება.

თუ სომხის ისტორიკოსებს დაუჯერეთ, ქართული კულტურა სომხის გენიის ნაყოფია! მაგრამ მაგარი ის არის, რომ კულტურა იგი, რაიც იყო ქართველთ სახელმწიფოებრიობის თვალსაჩინო და ხელშესახები გამოხატულება, ქართული იყო. მაშასადამე უცხო ტომელებს საქართველოში ისტორიულად თანამშრომლობა გაუწევიათ არა დასაქცევად, არამედ განსავითარებლად ქართული კულტურის, ქართული სახელმწიფოებრიობისა. ერთი დიდი ქართველი პოეტი სარგის თმოგველი ავტორი დაკარგული პოემის დილარგეთისა, ნამდვილად სომეხია, რადგანაც თმოგვი საგვარეულო ციხე-ქალაქი ყოფილა არადუთაშვილებისა. პავლე ინგოროყვა გვარწმუნებს, რომ ვეფხის ტყაოსნის დამწერი გვარად იყო ბაგრატიონი. ბაგრატიონები კი შთამომავლობით სომხები არიანო, გვეუბნებიან იგივე სომხის ისტორიკოსები. მაშასადამე მეორე დიდი ქართველი პოეტიც სომხის მოდგმის ყოფილა. ეს მაგალითები ცხად ჰყოფს, რომ უცხო ტომელი ძველ საქართველოში არა მარტო თანამშრომლის, არამედ შემოქმედების როლშიაც ყოფილა, მაგრამ ამისთვის ჯერ თვითონ გარდაქმნილა. ასე ყოფილა ძველად.

**ბ. სწავლა განათლება ცხოვრებისათვის.**

გაყრა, დავა, შეშლილი უკვდავ ქმნილებათა ავტორი გიორგი ერისთავი გვიხატავს ბატონყმობის დროინდელ ცხოვრებას მრავალი წუნის დადებით მამები თერგდალეულ ბეგლარებს, რომელნიც ქართულ პოეზიას მისდევდნენ, მესტვირეებს უძახდნენ. ასეთ რუსეთუმე შვილებს აყვედრიდნენ რუსეთში მესტვირეობა რომ არ გესწავლათ, ქართლში განა ცოტა იყო მესტვირეო? მაშინდელ საზოგადოებას სწავლა განათლება ცხოვრებისათვის უნდოდა, ცხოვრება კი—ცხოვრებისათვის ბატონებდა რუს ენას. ცხოვრება ურუსულოდ არ შეიძლებოდა. ქართული ენა კაცს ლუკმა პურს ვერ აჭმევდა. ხალხი სწავლა განათლებას უცქეროდა სარგებლობის თვალით და ქართულს რა თავში იხდიდა, როცა სახელმწიფო სამსახურისთვის გამოსადეგი არ იყო.

დღეს არც [illegible] უმაღლესი სკოლაც [illegible] გაზრდილი ცოდნას [illegible] სამშობლო ენით. რაკი ხალხი სწავლას აფასებს იმდენად, რამდენადაც იგი ცხოვრებისათვის გამოსაყენებელია, სახელმწიფო ცხოვრებაც ისე უნდა მოეწყოს, რომ ყოველ მის ფაქტორს ასულდგმულებდეს ქართული კულტურა. ხალხი უნდა ჰხედავდეს, რომ გარეშე ქართული სწავლა განათლებისა ლუკმა პურის შოვნა შეუძლებელია. თუ ასე არ იქმნა, ქართული ენის ასპარეზი ცხოვრებაში რამდენადაც შევიწროვდება, იმდენად ქართული სკოლა, როგორც ცხოვრებისთვის გამოუსადეგარი, დაცალიერდება და ბოლოს შეიძლება კიდეც მოისპოს. ხალხი მატერიალისტია, ვერც გავამტყუნებთ, თუ ზურგი შეაქცია სამშობლო კულტურას.

**გ. თემური და ეროვნული.**

თემისა და ერის საცნაურობის განმარტებას არა ერთი ცდილა, მაგრამ მათი განსაზღვრა ხანდახან საჭიროა, განსაკუთრებით ჩვენისთანა ერისთვის, რომელსაც რამდენიმე თემი მოეპოვება, სამი მათგანი ენითაც განსხვავებულია. თემის მისწრაფება ერად გახდომისთვის გასაგებია და პროგრესიული მოვლენაც არის, მაგრამ ერის კვლავ თემებად დაშლა პირვანდელ თემ-თემად ქცევა შეუძლებელია, რაიც ბრალია შეუგნებლობის და უკულტურობისა. ერი ისეთი კოლექტივია, რომელიც მატარებელია განსაზღვრული კულტურისა ყოველ მხრივ ცხად ყოფით. კულტურა იგი საერთოა ყოველი თემისთვის როგორც შექმნილი განვითარებული საერთო ღონისძიებით და თანამშრომლობით. ამის გამო არის, რომ თემურს ეროვნულში ყოველთვის დისონანსი შეაქვს. სამწუხაროდ ასეთი დისონანსით დღეს დაავადებულია ყველაზე უფრო ჩვენი ახალი მწერლობა.

როგორც სალიტერატურო ტიპი არ უნდა იყვეს თემური, ისევე არც ენა უნდა იყვეს თემური. ვეფხვის ტყაოსნის გმირთა მოქმედება, იდეალები, რასაც იგინი მიესწრაფვიან, საერთო, საყოველთაო არის და როცა ქართველი კითხულობს, თავის თავს პროვინციაში კი არ ჰგრძნობს, არამედ იმ გარემოში, რასაც ეწოდება ქართული კოლექტივი, როგორც გამოხატულება ეროვნული განუყოფლობისა. ენაც ასეთივე აქვს. ვერც ერთი თემი ჩვენი კოლექტივისა ვერ დაისაკუთრებს. ყოველი განვითარებული კულტურა თემურს ერიდება, ეროვნულს ეტანება. იძლევა ისეთ დანაკვს, ისეთ დებულებას, რომელიც საერთო და მისაღებია ყოველი თემისათვის—იმ დროსვე საერთო, საკაცობრიო არის თავისი შინაარსით.

რუსეთმაც მიაღწია ასეთ განვითარებას. მისი ლიტერატურის საუკეთესო გმირები ზოგად რუსები არიან. ფორმა კიდევ, რომელიც ჰმოსია იმ გმირთა მოქმედებასა და მისწრაფებას, ზოგად რუსულია. რუსის ინტელიგენტს ისე, როგორც რუსის ავტორს, ლაპარაკ—წერაზე აღარ ეტყობა სადაურობა, თემური მავანობა.

ქართველი საზოგადოება ას-ოცი წლის ცარიზმის მონობის უღელ ქვეშ ისე დაშორდა ქართული კულტურის ნორმებსა, რომ მწერალსაც, მოლაპარაკესაც ხშირად, ერთობ ხშირად ეტყობათ სადაურობა. თითქოს ჯერ კიდევ მოსამზადებელ ხანში ვიყვენით, ვერ მოგვიხერხებია საერთო ენით კულტურის ნორმებთან შეთანხმებული სტილით წერა და ლაპარაკი. საერთო ტიპი ხომ ახალ მწერლობაში იშვიათი ხილია, ერთი მასწავლებელი თურმე ძლიერ უქცევდა თემურად და როცა მოაგონეს, ეგრე ლაპარაკი კლასში არ შეიძლებაო, უპასუხა, კლასში ასე არ ვილაპარაკებო. იმას მოხერხება მაინც ჰქონია, სხვა ინტელიგენტმა რაღა ჰქმნას, როცა არც იმან იცის, თუ რა არის უკეთესი ქართული სიტყვა პასუხი, ვერც მის მოსაუბრეს გაურჩევია უგემურობა და სიყალბე მისი სიტყვა პასუხისა? სამწუხარო ის არის, რომ მაშინ, როცა ქართული ეროვნული კოლექტივის თავისებურ განსხვავებულად მოლაპარაკე წევრები სცდილობენ ეზიარნენ ქართულ კულტურას, როგორც საერთო დედა კულტურას, საკუთრივ ქართველები დასდგომიან თემურად წერა ლაპარაკს. ფაქტია, რომ არსებობს გურული თეატრი, იმერული თეატრი, ჟურული თეატრი. იმერული გურული ჟურული სცენები აქნობამდე გასართობად სახმარებელი დღეს მთლიან პიესებად გადაქცეულა, ანსამბლი სრული იქმნებოდა, ვისმე რომ დაეწერა კიდევ პიესები იმ კარგონით, რომელსაც ლაპარაკობენ ხიჩილა (ბიძიასთან გამოხუმრება) და ცოლქმარნი თათელა და მკრტუმ გასპარიჩ ტროდატოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

...მაგრამ თუ ასეთი მისწრაფება ...ია ქართული კულტურისთვის, ...წყალ მასწავლებელს რადათ უშ... ...ყვეთილი აუხსნას მოსწავლეს იმ ...ო, რომელსაც თვითონ ლაპა... თუ კიდევ პროგრესია აკადე... ...გაუმართავი წერილების გეჭვ... ...ნილ გაზეთებში, რაღა უძრახავთ ...ტელიგენტს შეცდომით ლაპა...

ქართული კულტურის ნორმები მანამდე არ დამყარდება პრაქტიკაში, სანამ ჩვენი მოაზროვნე და მწერალი ინტელიგენცია გამართულ არ იქნება ძველ და და ახალ კლასიკოსთა ნაწერების ცოდნაში შესწავლილი არ ექმნება ქართული აკადემიური სტილი. უცხო უნივერსიტეტის დიპლომი იმას ვერ გაამცოდინარებს, ის მაინც უვიცი, უკოდინარია ქართული კულტურისათვის.

**პეტრე მირიანაშვილი.**

# ახლო აღმოსავლეთი

**...უსეთის და კონფერენცია**

...ვი 29 სექტ. რუსეთის კონფე... ...მონაწილეობის საკითხში, რომ... ...ნის, გადახრა მოხდა. ინგლისის ...ის პრესამ ამ საკითხი განხილვა ... პრესსა დადებითად სწყვეტს

...-ჯორჯის ორგანო „დეილი ...ი" აღნიშნავს, რომ რუსეთი ...დაინტერესებული არის სრუტეე...თხში. გაზეთი ფიქრობს, რომ ...რო ადრე მიეღება ძოლო „მოთ... პოლიტიკას, მით უფრო ხელ... იქნება კაცობრიობის მომავ...ს.

...დეილი ტელეგრაფი" აღნიშ...ომ არ არსებობს არავითა...ლური მიზეზი, რომელიც არით... რუსეთს კონფერენციაზე დასწრე...ლებას.

...ისის მთელი პრესსა, გარდა ...ნგ პოსტისა" მომხრეა კონფე...ზე რუსეთის მოპატიჟების.

...დან მიღებულ ცნობით თანახ... უმრავლესად მიაჩნიათ წინაა...ა გაუწიონ რუსეთის მონაწილეო... ...ფერენციაზე.

...ქვეგო ტრიბუნი" იუწყება, რომ ... დიდ ნებით მოითხოვს რუსეთის, ...ს, ბულგარეთის და საქართვე... ...მონაწილეობას კონფერენციაზე.

**...ირეთა ნოტაზე ქემალის პასუხის გამო.**

...ვი 29 სექ. ლონდონსა და პა... მიღებულია ქემალის პასუხი, რო...უნდა გამოხატავდეს მოკავშირე... ...პრინციპიალური თანხმობას.

...დეილი ქრონიკლ" წინაადმდეგს ..., რომ ქემალი მოითხოვს ინგლი... ოსმალეთში ჯარების გაგზავნის ...ბას.

...ისის გაზეთებში დაბეჭდილია ... საუბარი ქემალთან. ... განაცხადა, რომ ოსმალეთი ...რის მისცეს სრუტეების თავისუფ... ყოველგვარი გარანტიები ყველა ...იმ შემთხვევაში, თუ მოკავშირენი ...ენ მას სტამბოლისა და მარმარი...ღვის დაცვის გარანტიას. ოსმა...ზედ არის კონფერენციის დაუ...ლივ მოწვევაზე რუსეთის თანადას...ო. ოსმალეთისათვის მისაღები ... ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ...ბ წინადადებები. თუ კი ინგლისს, ...ცხადა ქემალმა,—სურს სრუტეე... თავისუფლება, საკითხი მარტივად ...წყვეტილია, თუ კი მას სურს დაკე...სრუტეები, მაშინ მთელმა კაცო...ამ უნდა გამოარკვიოს თავისი ...დამოკიდებულება ამ ფაქტთან. ფაქტიუ... სრუტეები ჩვენს ხელთაა და ჩვენი ...ის სფეროში იმყოფებიან.

...ემა პროტესტი განაცხადა, ნეი...ური ზონის დაწესების წინააღმდეგ ...ზი გაუსვა, რომ ეს მოგონილია ...სის მიერ ბერძნების ჯარების ... მიზნით.

...ო რა მესოპოტამიის ნავთზე ინგ... სურვილებს, ქემალმა განაცხადა, ...გორას არავითარი არ აქვს ნავთის ...ებათა ამერიკის ექსპლოატაციის ...მდეგ, ვინაიდან ამერიკა არავი... პოლიტიკური მიზნებს არ ისახავს.

**...ომის წინააღმდეგ**

...ოვი 29 სექ. ინგლისის კომუნის... პარტიის აღმასრულებელმა კომი... წინადადება მისცა ინგლისის მუ...პარტიას მოიწვიონ მუშათა კონ...ომის შესაძლებლობის მდგომა...ს განსახილველად.

...ქერთა ფედერაციამ მოაწყო დი...პროტესტო მანიფესტაციები ახალი ...წინააღმდეგ.

...ლისის კომუნისტურმა პარტიამ ...ვეყნა მოწოდება, რომელშიაც წი...ებას აძლევს ინგლისის პროლეტა... მოითხოვოს სტამბოლის ოსმალე...ის გადაცემა.

**ფრონტზე**

...რა. 27 სექტ. ოპერაციული ცნო...ხედვით კაზაში (დარდანელის მა...ლზე) გადმოიხვეს ბერძნების შეია...ული ბრიგადები რომელთაც სდევ...სმალები.

...რა. 27 სექტ. „ხაკიმიეთ მილიეს" ... სტამბოლიდან 25 სექტ. თარი... სტამბოლის ნავთსადგურში მივი...ალის მეზობელი ესკადრა, 8 ნად... მოსნის შემადგენლობით და აგრეთვე საფრანგეთის და ინგლისის ჯავშნოსანი გემები.

**ჰანოვერი.** 29 სექტ. ლონდონიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ოსმალეთის ცხენოსანმა ჯარმა წინ წაიწია ერენქეიდან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ოსმანლისაკენ ფიქრობენ, რომ ეს გამოწვეულია ინგლისელების მიერ გაკეთებულ საგუშაგოს აღების მიზნით.

**ჰანოვერი**, 29 სექტ. ინგლისის ძლიერი ჯარის ნაწილი არტილერიით დაიძრა ჩანიკალაკენ, რათა შეაჩერონ ოსმალეთის წინსვლა.

**სტამბოლის მთავრობის პროტესტი**

**ანგორა.** 27 სექტ. უმაღლესმა პორტამ პროტესტი განაცხადა სტამბოლის განაპირა ზღვაში საბერძნეთის კრეისერის „ავეროვის" გამოჩენის წინააღმდეგ.

**ოსმალეთის გამარჯვებას გამოძახილი.**

**ანგორა.** 27 სექტ. გამარჯვების გამო, ქემალ-ფაშას მისამართით მოდის აურიცხელი მისალოცავი დეპეშები აფრიკისა და ინდოეთის სხვა და სხვა ადგილებიდან სხვათაშორის დეპეშა მიღებულია ხალიფატის ინდოეთის კომიტეტიდან.

**ანგორა.** 27 სექტ. 8 სექტემბერი მთელს ინდოეთში ყველა მუსლიმანურმა მოდგმამ გამოაცხადა ლოცვის დღეთ ოსმალეთის იარაღის გასამარჯვებლად. ტარიბულუსში დამასკში და სირიაში მოწყობილ იქნა გრანდიოზული მანიფესტაციები ოსმალეთის გამარჯვების პატივსაცემლად.

**ლარსეული პასუხი**

**ჰანოვერი**, 29 სექტ. რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ ქემალ-ფაშამ ინგლისის გენერალ გარინგტონის ნოტაზე ოსმალეთის ჯარის ნაწილების წინსვლის შეჩერების და უკანასკნელების მიერ ნეიტრალური ზონის ევაკუაციის შესახებ—უპასუხა, რომ ქემალ ფაშამ არაფერი არ იცის ნეიტრალური ზონის შესახებ და თავის მხრივ მიუთითებს ინგლისის სარდლობას იმ დარბევაზე, რომელიც ჩაიდინა ინგლისის ჯარებმა.

**მოკავშირეების ნოტის შესახებ.**

**ანგორა.** 27 სექტემბერი. სტამბოლის და ოსმალეთის გაზეთები უკვე თვებენ კომენტარიებს ანტანტის ნოტას და სთვლიან მას მიუღებლად.

**ანგორა** 27 სექტემბერი. ანგორას ოფიციოზი, ანტანტის ნოტის გამო ჯერ-ჯერობით სდუმს და გამოდის მოწინავე წერილის მოუთავსებლად.

**საერთო განწყობილების უარყოფითია.**

**ანგორა.** 27 სექტემბერი. საერთო განწყობილება მოკავშირეების ნოტისადმი უარყოფითია.

**გამიდ-ბეის განცხადება.**

**ჰანოვერი.** 29 სექტემბერი. ანგორის მთავრობის წარმომადგენელმა სტამბოლში—გამიდ-ბეიმ განაცხადა, რომ ქემალ ფაშა აწარმოებს მოლაპარაკებას

**ოსმალეთის მოთხოვნილებანი.**

**კრაუდენი** 28 სექტ. რომში, პრესის წარმომადგენლებთან ინტერვიუში ჯალალ კადონ-ბეიმ განაცხადა: „ის, რაც ჩვენ ვაკეთეთ და დავამთავრეთ, მოკლებულია საოცარი სიმტკიცით დასახულ მიზნის მიხწევისათვის, არა ჩვეულებრივ ღონისძიების მიღებით, სისხლით, ოფლით და აღფრთოვანებით რაც გამოწვეული იყო გაბედულობით ჩვენ არასდროს არ ვყოფილვართ ზავის მონები დროებითი და ომის გათავების შემდეგ ინგლისმა ჩვენ ჩაგვაყენა ისეთ მდგომარეობაში, რომ მას ეგონა, რომ ჩვენ ვერ შევსძლებდით თავი მაღლა აგვეწია. მან წაგვართვა ჩვენ მთელი იარაღი, გაანადგურა მთელი ჩვენი სამხედრო მასალები, მაგრამ თუ ხალხს მიეპოვება შეურყეველი სურვილი გახდეს თავისუფალი, მაშინ ის შესძლებს გააკეთოს იარაღი უდაბნოს ქვიშისაგან და საომარი მოწყობილობა—ჰაერისაგან.

ოსმალეთის ხალხს ჰქონდა ეს დაუძლეველი სურვილი და მან გაიმარჯვა. ეხლა ჩვენი პირობები ძლიერ მარტივია: უპირველესად ყოვლისა ჩვენ გვინდა, რომ ყველა ის ადგილები, სადაც ოსმალეთის მცხოვრებლები წარმოადგენენ უმრავლესობას, გადაეცეს ოსმალეთს; შემდეგ ჩვენ გვსურს ვიყოთ უფროსებად ჩვენ საკუთარ სახლში, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვერ ვინ უარჰყოფს ჩვენ უფლებებს დარდანელზე ინგლისს სურს წარმოადგინოს ზოგიერთი პირობები, მას სურს გაანთავისუფლოს სრუტეები ჩვენი კონტროლისაგან. ჩვენ ომში დავკარგეთ კილიკია, პალესტინა, ტრანსიორდანია, მესოპოტამია, გეჯასი, არაბეთი და ხედივათი ეგვიპტე. გვეგონა, თუ ინგლისისათვის ეს საკმაო იქნებოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მას კიდევ მეტი სურს. ჩვენ მზად ვართ მივცეთ თავისუფალი გასავალი სრუტეებში ყველა სავაჭრო გემებს, მაგრამ მოვითხოვთ უფლებას გავაფრთხილოთ სამხედრო გემების გატარება და მოვითხოვთ აგრეთვე დარდანელის სიმაგრეებში აღდგენის უფლებას, იმიტომ, რომ სრუტეები თუ დარჩება ერთიან მესვეურის ხელში, მაშინ ომის დროს უძლიერესი სახელმწიფო ზღვაში შესძლებს დაიკავოს დარდანელი და განდევნის ყველა დანარჩენი სახელმწიფოები. ოსმალეთის ხალხმა გააკეთა დიდი საქმე, მან უჩვეულო მოთმინებით აღადგინა რკინის გზები და გაიყვანა ახლები. სათანადო ქარხნების უქონლობის დროს, ოსმალეთის ხალხმა ხელებით შექმნა თანდათანობით თავისი ძლიერება. დასასრულ ჯელალედინ—ბეიმ განაცხადა, რომ ყველა ამ მძიმე მუშაობის დროს ბერძნები განაგრძობდენ ოსმალეთის ადგილების დაკავებას, მაგრამ ოსმალეთმა იცოდა, რომ საომარი ზეიმი საბერძნეთისა ხანგრძლივი არ არის და იწყო თანდათანობით მზადება. და ბოლოს—დაამთავრა ჯელალედინ-ბეიმ, როცა ჩვენ სავსებით მოვემზადეთ, მაშინ თვით დავიწყეთ შეტევა და გავრეკეთ ბერძნები. ხალხმა გაიმარჯვა".

# გერმანიის პრესა საბერძნეთის მდგომარეობის შესახებ

**ბორდო**, 29 სექტემბერი. „ფოსსოვოი გაზეთი"-ს აზრით, მდგომარეობა საბერძნეთში ძლიერ რთულია. დამარცხებულ საბერძნეთს აღარ მოეპოება მეგობარი. ინგლისი ფიქრობს მხოლოდ თავის საკუთარ ინტერესებზე დარდანელის საკითხში და აღარ ზრუნავს საბერძნეთის უბედურებაზე, რომელსაც წინად ექომაგებოდა. კონსტანტინემ ხელმეორედ უნდა მიატოვოს სახელმწიფო და ტახტი. „ფორვერტსი" აცხადებს, რომ საბერძნეთი, რომელზედაც იყო მინდობილი აღმოსავლეთის ხანძარის ჩაქრობის მისია, თვითვე გახდა ამ ხანძარის მსხვერპლი. საბერძნეთის არმია განადგურებულია, ხოლო მისმა რევოლიუციონურმა ნაწილმა აღაფრთოვანა მთელი სახელმწიფო. ვენიზელოსი, რომელსაც შეეძლია ყოველ დროს იქონიოს, რომ დადგა მისი დრო, ახლო მომავალში დაბრუნდება ათინაში, სადაც საფრანგეთის გავლენა აღემატება ინგლისისას. „ფრეიჰეიტი" ამბობს, რომ კონსტანტინემ ხელმეორედ დაჰკარგა თავისი ტახტი და ამ შემთხვევაში საბოლოოდ. არმიამ აიძულა ის გადამდგარიყო თავის მემკვიდრეს სასარგებლოდ.

გენერალი ნიდერი, ვენიზელოსისტი, რომელიც მახურობდა სალონიკის არმიაში მარშალ ფრანშე დ ესპერის სარდლობით გადადგა კონსტანტინეს მიერ შედგენილ კაბინეტის მოთხოვნილებით. მემკვიდრე თანახმაა მიიღოს ტახტი და ტრიალებს ის აზრი, რომ რევოლიუციონურ მოძრაობას მისცენ ნაციონალური ხასიათი, მაგრამ ყველაფერი დამოკიდებულია სოციალისტების პოზიციიდან. ოთხშაბათს საღამოს, რეაქციონერებს—როიალისტებს გენერალ კონსტანტინოპულოსის მეთაურობით ჰქონდათ შეტაკება ვენიზელოსისტებთან, რომლებმაც დაიკავეს რატუშა და პოლიცია, იტყობინებიან აგრეთვე ვენიზელოსის სასარგებლოდ გამართულ დემონსტრაციების შესახებ. სახალხო სახლებს იცავენ ჯარები, რომელიც გადმოსხეს პირეიში. „კრეიცეიტუნგი" ამბობს, რომ კონსტანტინე გახდა მსხვერპლი პარიზის კონფერენციის გადაწყვეტილებისა.

# უცხოეთი

**ამხ. ჩიჩერინის გამგზავრება.**

მოსკოვი. 20 სექტემბერი, 27 სექტ. ბერლინიდან მოსკოვს გამგზავრა გარეშე საქმეთა კომისარი ამხ ჩიჩერინი.

**უკრაინა და პოლონეთი.**

შერეული სარეპარაციო კომისიას რუსეთ უკრაინის დელეგაციამ გადასცა წერილი, სადაც აღნიშნულია რუსეთის ქვეშევრდომთადმი უდიერი მოპყრობა პოლონეთის საკონტრიბუციო ბანკში.

რუსეთში დაბრუნების მსურველებზე ბანკის ადმინისტრაცია ძალადობას სჩადის. ასე მაგალითად გალახული იყვნენ ყოფილი პოლკ. ლიხოვეცკი, ყოფილი პროკ. რუმინოვი. რუსეთ-უკრაინის დელეგაცია მოითხოვს ძალადობის შეჩერებას.

# ახალი ამბები

— **ტვირთ-ზიდვის ხარკისაგან განთავისუფლება.** აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით, თუ რომელიმე პიროვნება განიცდის მწვავე მდგომარეობას, ეპატიება 500.000 მანეთზე მეტი დაწესებული ჯარიმა.

— **ბარაკები.** არამიანცის ბარაკების რუსეთის დამშეულთა დამხმარე კომიტეტის ხელში გადასვლის გამო—ვოლგის დამშეულ მხარის ბავშვთა მოსათავსებლათ, გამოტანილია დადგენილება, რომ ვინაიდან აღნიშნული ბარაკები ქალაქისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს და იქ ბავშვების მოთავსება ქალაქს მიუტანს დიდ ზარალს, ამისათვის შედგეს კომისია, რომელიც გამოარკვევს სურამის საბავშვო სახლების მდგომარეობას იმ მოსაზრებით, რომ თუ შესაძლებელია ამ ზამთარში იქ ბავშვების დატოვება. კომისია სამეულიდან, რომელშიაც შედის ერთი, რუსეთის დამშეულთა დამხმარე კომიტეტის წარმომადგენელი—მიემგზავრება სურამში 22 სექტემბერს.

— **ინჟ. დიასამიძის გამართლება.** გაზ. „პრავდა გრუზია"-ში ამხ. დიასამიძეზე გამოქვეყნებული ბრალდება სათანადო გამორკვევის შემდეგ ჩაითვალა უსაფუძვლოთ და გაუგებრობაზე დამყარებულათ. ინჟინერ დიასამიძეს წინადადება მიეცა განაგრძოს ჩვეულებრივად მუშაობა თავის თანამდებობაზე.

— **საბინაო საკითხი.** მიღებულია პროექტი—მუშათა საცხოვრებლიდან პროფკავშირის არა წევრების გადმოსახლების შესახებ.

— **ვერის ხიდის შეკეთება.** აღმასკომის პრეზიდიუმმა აღძრა შუამდგომლობა—სახ. კომისართა საბჭოს წინაშე, დაახლოვებით ერთი მილიარდი მანეთის გაცემისათვის, ვერის ხიდის შესაკეთებლად.

— **კომუნალური გადასახადი სამხედრო მოსამსახურეებზე.** აღძრულია შუამდგომლობა ფინანსთა კომისარიატთან, რათა ფინანსისტების ყრილობაზე მოსკოვში გაიგზავნოს ტფილისის აღმასკომის სახელით, ამხ. თედო ღლონტი. მასვე ევალება სრ. ც. აღმასკომის წინაშე შუამდგომლობა კომუნალურ გადასახადების შესახებ სამხედრო პირების დასაკმაყოფილებლათ და სათანადო ფულის მიღებაც.

— **ცირკულიარი მოწაფეთა დაგვიანების შესახებ.** სახ. განათლების კომისარიატის მთავარ პროფსკოლის გამგემ განათლების განყოფილებათა გამგეებს დაუგზავნა შემდეგი ცირკულიარული მოწერილობა, მოწაფეთა დაგვიანების შესახებ: გასულ სამოსწავლო წელში ადგილი ჰქონდა, ეხლაც მეორდება, რომ ზოგიერთი მოწაფეები დანიშნულ დროზე არ ცხადდებიან სასწავლებლებში განმეორებით გამოცხადებაზე, არ ბრუნდებიან აგრეთვე დროზე სწავლის დაწყებისთვის და რჩება დაუმთავრებელი კოლლოკვიუმები, რასაც დიდი არევ-დარევა შეაქვს სკოლის ცხოვრებაში, ამიტომ განათლების კომისარიატი წინადადებას გაძლევთ იხელმძღვანელოთ შემდეგში და მიიღოთ ამასთანავე ზომები; 1) 15 ოქტომბრის შემდეგ არავითარი ადგილი კოლლოკვიუმებს არ ექნეს სასწავლებელში ადგილი, კომისარიატის მიერ ნება დაურთველად. 2) მოწაფე, რომელიც არ გამოცხადდება 15 ოქტომბრამდე, ან თუ გამოცხადდება ამაზე გვიან და არ წარმოადგენს პატივსადებ საბუთს დაგვიანებისას, უნდა დათხოვნილ იქნას სასწავლებლიდან და მის მაგიერ ჩაირიცხოს უადგილო მსურველი ყმაწვილი.

დედანს ხელს აწერს პროფ. განათლების მთავარ [illegible] მგელაძე. ადმ[illegible] მაჭელაძე

— **დაწესებულებების ქალაქთან ხელშეკრულების დადება.** ყველა დაწესებულებებს გეძლევათ სამი დღის ვადა, რომლის განმავლობაში ქალაქთან უეჭველათ უნდა იქნას დადებული ხელშეკრულება; წინააღმდეგ შემთხვევაში დაწესებულებებს შეეწყვიტება წყალი, სინათლე, სამილიციო სამსახური და თუ ეს ზომები არ გასჭრის, ზომები იქნება მიღებული მილიციის საშუალებით, დაწესებულებათა დაკეტვამდე.

# პარტიაში

**პარტიული განცხადება:** ტფილისის საქალაქო კომიტეტი წინადადებას აძლევს. ტფილისელ ამხანაგებს განაახლონ პარტიული მანდატები (საწევრო ბარათები) 15 ოქტომბრამდის. ა. წ. აღნიშნულ რიცხვის შემდეგ ძველად გაცემული მანდატები ჩაითვლება გაუქმებულად.

მანდატების განახლება სწარმოებს ყოველ დღე პარტიის მთავარ ბიუროში ლორის-მელიქოვის ქუჩა. № 1. ტფილისის კომიტეტის ოთახი № 1) საღამოს 7—10-მდის.

ტფ. კომიტეტი.

—

დღეს, საღამოს 5 საათზე „ტრიბუნას" რედაქციაში დანიშნულია მთავარი კომიტეტის არა ჩვეულებრივი სხდომა. წევრებს ვთხოვთ გამოცხადდენ დანიშნულ დროს.

# საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტში.

**დახმარება წყალდიდობისაგან, სეტყვისაგან და ცეცხლისაგან დაზარალებულ მაზრებს.**

საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტში მოსული ცნობით, რესპუბლიკის ზოგიერთ მაზრებში წყალდიდობისაგან, სეტყვისაგან და ცეცხლისაგან განადგურებულია მოსავალი, დაღუპულია მრავალი პირუტყვები და წალეკილია მოსახლეობა, არის ადამიანთა მსხვერპლიც (გურიაში).

ამიტომ საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარმა კომიტეტმა სასწრაფო დახმარების აღმოსაჩენად გასცა ეხლავე დაზარალებულ მაზრებზე დახმარების სახით, ზარალის და მიხედვით, შემდეგი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ოზურგეთის მაზრას | | 300.000.000 მ. | |
| | | 500 ფ. ხორბალი და 512 არშინი ნარმა. | |
| 2. სენაკის | „ | — 100.000.000 | მ. |
| 3. შორაპნის | „ | — 100.000.000 | „ |
| 4. თიანეთის | „ | — 75.000.000 | „ |
| 5. ლეჩხუმის | „ | — 145 000 000 | „ |
| 6. თელავის | „ | — 50.000.000 | „ |
| 7. ახალქალაქის | „ | — 100.000.000 | „ |
| 8. ახალციხის | „ | — 100 000 000 | „ |
| 9. რაჭის | „ | — 100.000.000 | „ |
| 10. სამხრეთ-ოსეთის | | — 100.000 000 | „ |
| | სულ | 1.170.000 000 | მ. |

**საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტი.**

# საბურთალო.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ქალაქის განაპირა კუთხეებს, არას დროს, არც ერთი რეჟიმის დროს, არ ექცეოდა იმდენი ყურადღება, როგორც ეს ხდება საბჭოთა ხელისუფლების დროს.

მენშევიკური რეჟიმი ჩვენში, იყო დრო ლიტონი დემაგოგიისა და უნიათო ფრაზეოლოგიისა. რომ არ შევეხოთ სხვა პრაქტიკული ხასიათის დეფექტებს, რომელიც მათ ჰქონდათ ნიას სდევდა თან და გავითვალის-

წინოთ მარტო ის, თუ როგორ ეპყრობოდენ მაშინ განაპირა კუთხეების ნება-სურვილს, დავრწმუნდებით, რომ სამართლიანობას და ჭეშმარიტ გამოძახილს პროვინციიდან და უფრო დემოკრატიული მდგილეებიდან არ ჰქონდა შესაფერისი პოპულიარობა მოპოებული.

საბურთალოს მაგალითი კმარა ამის საილიუსტრაციოთ. ეს უბანი დიდი ხანია დავრდომილი და დაავადებული იყო საშინელი მალიარიით, რომელიც ადგილობრივი ჭაობების კიდოებისაგან ვრცელდებოდა. ამ სენმა ისეთი კატასტროფული ხასიათი მიიღო უკანასკნელ ხანებში, რომ მრავალი ოჯახი სრულიად ამოწყდა და ახალი მოსახლეობის გაშენება შეჩერდა.

ეხლაც შეიძლება მრავალი სახლის ნახვა საბურთალოს განაპირა ადგილებში, სადაც აღარავინ არ ცხოვრობს იმიტომ, რომ საშინელ მალერიას უწყალოდ ამოუწყვეტია მთიალი ოჯახები და სახლებიც ამის გამო დარჩენილან უპატრონოდ.

საბჭოთა ხელისუფლებამ ამ მომაკვდინებელ გარემოებას ყურადღება მიაქცია და ტფილისის პირველი საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა შესაძლებობის მიხედვით გააშრო ჭაობები, ფართე არხების გაჭრით. გაწყო კოდო და სნეულების გავრცელებამაც საგრძნობლად იკლო.

ამიერიდან საბურთალოზე ცხოვრება იმდენად საშიში აღარ არის, როგორც ეს თუნდაც ერთი წლის წინეთ იყო.

ჭაობების გაშრობის და არხების გაჭრის გარდა, საჭირო იყო სანიტარული დახმარება საბურთალოს მცხოვრებთათვის, მთავრობას არც ეს გარემოება გამოჰპარვია მხედველობიდან და გახსნა საბურთალოში ამბულატორია, რომლითაც დღესაც უხვად სარგებლობს საბურთალოს მცხოვრებთა დიდი ნაწილი.

ამბულატორიის აივანზე ყოველთვის ნახავთ მცხოვრებთა მრავალრიცხოვან კრებულს, რომლებიც ღებულობენ უფასოდ საჭირო წამლებს ავადმყოფობასთან საბრძოლველად.

ამ მხრივ სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური ხასიათის საქმე კეთდება იმის გამო, რომ საბურთალოს გაშენება, რომელიც შეჩერებული იყო სხვა და სხვა სენის გავრცელების გამო, ამიერიდან კვლავ განახლდება და დიდ უბნად იქცევა.

განათლების დარგში მუშაობასაც დაეტყო გამოცოცხლება.

აქ არის ორი შრომის სკოლა, ერთი რუსებისათვის და ერთიც ქართველებისათვის. შარშან ამ უკანასკნელში არ იყო ნორმალური მეცადინეობა. ამას ხელს უშლიდა ერთი ის, რომ შენობა არა აქვს შესაფერისი ქართულ შრომის სკოლას და მეორეც ის იყო, რომ წარსული სამოსწავლო წლის აქაური სკოლის პედაგოგიურმა პერსონალმა ვერ დააყენა კარგ ნიადაგზე მეცადინეობის საქმე.

წლევანდელი წლიდან, ვფიქრობთ, ეს ორთავე დაბრკოლება თავიდან ასცილდება აქაურ სასკოლო საქმეს. სკოლის რემონტს უკვე შეუდგნენ და ამ მოკლე ხანში დამთავრდება. მასწავლებელთა პერსონალიც ენერგიული მუშაკებისაგან შესდგება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს პირები სრული ხალისით და საქმის სიყვარულით მოკიდებენ თავის სიმპატიურ საქმეს ხელს და დანგრეული სკოლის საქმეს გამოასწორებენ.

ჩვენმა ხელისუფალმა ორგანოებმა შემდეგში უფრო ზედმეტი ყურადღება უნდა მიაქციონ საბურთალოს, როგორც განაპირა უბანს, იმ მიზნითაც, რომ აქ შესაძლებელია მოსახლეობის გამრავლება და ცხოვრების გაკულტუროსნება.

განთარი.

# მუშათა ცხოვრება

შეშა!—შეშა!..

ასე შემოსძახებენ ხოლმე ამ ჟამად მუშები თითქმის ყველა დარგის ქარხნებში, როდესაც მათთან გამოჩნდება რომელიმე ორგანიზაციის ან პროფკავშირის პასუხისმგებელი წევრი—ამხანაგი.

და მართლაც ეს წყეული შეშა ისეთი მწვავე და ამასთანავე სერიოზული საკითხია ზამთარში ღარიბი მუშა ხალხის ცხოვრებაში, რომ იგი ხშირად სიმწვავის და ლუკმა პურის საკითხებს ჩრდილავს.

ეს საკითხი რომ არ გავაზვიადოთ, საკმარისია გავითვალისწინოთ წარსული ჩვენი შეცდომები და აშკარად დავრწმუნდებით იმაში, რომ სათბობი მასალით უზრუნველყოფა მუშა ხალხისა, თუ რასაკვირველია სამისო ნაბიჯები არ არის გადადგმული ჯერ-ჯერობით—ნახევრად უკვე დაგვიანებულია. ამ საკითხზე მუშათა გაზეთებში რამდენჯერმე იყო აღნიშნული სათბობი მასალის მომარაგების საჭიროება მუშა ხალხისთვის და, მიუხედავად ამისა, სათანადო ორგანიზაციებისაგან დღემდე ვერავითარი გამოხმაურება ვერ პოვა. შეშის და საზოგადოდ სათბობის საკითხი ზამთარში რომ მუშებისთვის საშიში საკითხია, ეს ჩვენ წარსული გამოცდილებითაც ვიცით და ამ შემთხვევაში გაბედული და გარკვეული პასუხის მაგიერ—სიჩუმე ნიშნავს იმას, რომ აღბად მართლაც ამ მხრივ არაფერი არ არის გაკეთებული.

და თუ მართლა ეს ასეა, გვსურს ვიკითხოთ:—რას ფიქრობს და რას აკეთებს ამ მიმართულებით საზოგადოებრივი ორგანიზაციები და კერძოდ მუშათა პროფკავშირების საბჭო? ხომ არა ფიქრობს შეშის მომარაგებაზე ზრუნვას მაშინ, რომ, როდესაც მთელი მუშები ფაქტის წინაშე დავდგებით და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ დეფექტების და გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად მუშათა მრავალ შეკითხვებზე შეშის შესახებ—გარკვეულად უპასუხებდეს მუშებს კავშირთა საბჭო იმის შესახებ—რომ მუშები მომავალ ზამთარში მიიღებენ თუ არა ამ აუცილებელ საჭირო შეშას?

დაყოვნება მდგომარეობას, წარსული გამოცდილება თვალწინ გვაქვს.

შეშა!—შეშა!.. ეს მუშათა ხმაა, და უნდა მივიღოთ მხედველობაში!

სტამბის მუშა დ. მ.

## სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილი*)

(1756—1816 წ.

სელიმ-ფაშა იყო ძე აბდულ აგა ხიმშიაშვილისა, იგივ ხიმში ზადე ოსმალურად.

1744 წ. სამცხე-საათაბაგოში ოსმალთ მოსპეს ქართველ მაჰმადიანთა ავტონომია, ათაბაგების შთამომავალ ქართველ მაჰმადიანთ ფაშები დაამხეს და მათ მაგიერ, ოსმალოდან დაუწყეს გამოწვრა ოსმალთა გვარის ფაშებს, რომ ასეთ პირთა მოქმედებით ქართველი მაჰმადიანები უფრო მალე გაეთურქებინათ, რომ ქართველ მაჰმადიანებში უფრო მალე დაკარგულიყო ქართული ენა.

ამის გარდა კიდევ რა ქმნა ოსმალოს მთავრობამ 1747 წ. მათ, რაც კი დამნაშავეები უჩნდებოდათ, კაცის მკვლელები, ყაჩაღები და სხვანი, ყველა ასეთებსაც ქართველ მაჰმადიანებში გზავნიდნენ სასჯელის მოსახდელად. ამ გვარად სამუსულმანო საქართველო ასეთი ხალხით ისე მოიფინა, ისე გაივსო, რომ ძაგძაღითებრ ქოხულეთი და აჭარა 1752 წ. უკვე სავსე იყო თურქულ ყაჩაღებით, კაცის მკვლელებით, მცარცველებით და სხვაც ასეთის კაცებით.

ასეთი კაცები დღე და ღამე ესცარცვიდნენ ქართველ მაჰმადიანებს, პირში სულს ხუთავდნენ, არბევდნენ, სცარცვავდნენ, ერთი სიტყვით სოფელში და ქალაქში არავის აღარასფერ არჩენდნენ. გლეხებს სტაცავდნენ პურს, ყველს, ერბოს, ლობიოს, კომბოსტოს, საქონელს, ყველასფერს, ერთი სიტყვით, რაც კი გლეხებს ჰქონდათ, იგი ყველა ამ ყაჩაღებისა იყო.

ასევე უშვრებოდნენ ქართველ მაჰმადიანთ ვაჭრებს, ამათაც აღარასფერს არჩენდნენ, რასაც უნახავდნენ, ყველაფერს სტაცებდნენ, ამას გარდა გადასახადიც იმდენი იყო მათზედ, რაისა გამო მათი ყველაფერი გაჟღერანებას და აოხრებას ეძლეოდა, უფრო კი ყველასფერი ქრებოდა და ისპობოდა.

ამ ბედშავ დროს, სამუსულმანო საქართველოში, ძველის ათაბაგების გვარის ჯაყელების შთამომავალთ ორი კაცი იყო კიდევ დაშთენილი, ორივე ნასწავლი კაცები. ერთი იყო შერიფ ფაშა ჯაყელი და მეორე ზამით ფაშა ჯაყელი. ამ ფაშებს სამხედრო ცოდნა ჰქონდათ, მაგრამ ოსმალოს მთავრობა ამათ არ ნიშნავდა სამუსულმანო საქართველოში გამგე ფაშებათ, ვინაიდგან მთავრობა ფიქრობდა, რომ ესენი ჯაყელების გვარის წევრნი არიან და რომ დავნიშნოთ, ვაი თუ მათ მერე გვიღალატონ და გადგნენო.

ასე ეშინოდა ოსმალოს მთავრობას ამ ფაშების, ამიტომ ეს ფაშები სცხოვრებდნენ საქართველოში და მათ არასფერი თანამდებობა არ ჰქონდათ, იგინი მისდევდნენ ხვნა-თესვას და მით სცხოვრობდნენ.

ქართველ მაჰმადიანებს მობეზრდათ ოსმალთაგან ცარცვა-გლეჯის საქმეები, ესენი გაჭყავდნენ, ამიტომ შეწუხებულმა ქართველმა მაჰმადიანებმა მიმართეს თავიანთ ცნობილს შერიფ ფაშას და ზამით ფაშას და შესჩივლეს და სთხოვეს ასე:

შერიფ ფაშავ და ზამით ფაშავ, თქვენა ბრძანდებით დიდის ათაბეგის შთამომავალნი მთელი სამცხე-საათაბაგო თქვენი იყო, თქვენი წინაპარნი დაფლთხეს ოსმალთა, დღეს ჩვენ ოსმალთა ხელში, მათის ფაშებისაგან ვიჩაგვრით და მათსავე მცარცველ-მგლეჯავ ყაჩაღებიც გვარბევენ. თქვენის თვალით ხედავთ, რომ მათგან ჩვენ პირში სული აღარ გვაქვს შერჩენილი, ტყავს გვაძრობენ, დღე და ღამ არ გვასვენებენ. გვტაცამენ, თქვენის კარგის თვალით ხედავთ, თუ ჩვენ რა დღეშიაცა ვართ, შეხედეთ ჩვენს გაჭირვებულს ცხოვრებას.

თქვენ იდეთ თავს ჩვენი ქვეყნის მართვა-გამგეობა, თქვენ გახდით ჩვენი ქვეყნის ფაშები და ჩვენც ყველანი პირობას გაძლევთ, რომ ერთ დღეს გამოვალთ სულ ერთათ, მთელი ქართველ მაჰმადიანების და სამუსულმანო საქართველოდან სულ გავაძევებთ ოსმალთა მთავრობას და მათ ფაშებს გავრეკავთ მთლად მათ ყაჩაღებსაც და ამგვარად გავთავისუფლდებით ამ მცარცვავ-მგლეჯავებისაგანა.

ქართველ ფაშებს ეკაში მოუვიდათ ხალხის ასეთი მიმართვა, ესენი თანახმანი გაუხდნენ ხალხს, პირობა მისცეს, რომ თქვენ მოემზადეთ, ჩვენც მოვემზადებით და ბოლოს, ერთ დღეს შევიყარნეთ ერთად მოვილაპარაკოთ და მის შემდეგ ჩვენი მტრების გაძევებაც დავიწყოთ აქედანაო.

ხალხმა მადლობა გადაუხადეს ფაშებს და დაიწყეს ამის შესახებ მეცადინეობა და შრომა. ხალხს ეგონა ჩანდა დიდი ძალი იარაღი, რომ ერთ დღეს ახალციხეში ცნობა იქმნა მიღებული, რომ უცხო ფაშების და ყაჩაღების დასამხობათ ქართველ მაჰმადიანთაგან გამოვა 300 ათასი შეიარაღებული ჯარიო, ხალხი ისეა გაბრაზებული, რომ ბრძოლაში ქართველ მაჰმადიანთ დედაკაცობაც გამოდისო. იგინი სურვილს აცხადებენ, რომ ჩვენც ჩავერევით ბრძოლაშიო.

ხალხის დავალება ფაშებმა ვერ გამოიყენეს კარგად. ესენი მართალია ხალხს თანახმა გაუხდნენ და მასთან მათ მისი შურიც აღეძრათ გულში, რომ ჩვენში ვინ იქმნება პირველიო, ვინ იქმნება ქვეყნის უფროსი და ათაბაგიო, ამით დაბრმავდნენ.

ასეთის გესლიანის ბორიოტებით აღმოსჩნდნენ შერიფ ფაშა ჯაყელი და ამისი ხალხი კაცი ზამით ფაშა ჯაყელი, ამ ბორიოტებს გულში არ გაუარათ მის მცნებამ, რომ ჩვენ ორივენი ჯაყელები ვართ, სახლიკაცები და ნათესავები, საქმე გავარჩიოთ და ვინც უფრო ახლო ნათესავი აღმოსჩნდეს საფარ ფაშა ჯაყელისა, ის უნდა იქმნეს პირველიო.

არა, ამათ ამისი მცნება არ გაეღვათ გულში, ეს არ გაახსენდათ და მით დაღუპეს თვისი სამშობლო, მათ დაამტკიცეს თვის წინაპართა ბორიოტი ჩვეულება, რომ „არა მე და არა შენაო". თუ მე არ ვიქნები, მაშინ ნურც შენ იქნები და ნურც ჩვენი ქვეყანაო. ეს შური იყო ჩვენი წინაპრების სენის და ამ სენში ჩაილრძვნენ იგინი და ასევე ჩაილრძვნენ მათი მომდევარნიც.

ეს ბორიოტება რომ ცხადი არის, ამას გამოაჩენს ამ ფაშების მოქმედება და მათი ბრძოლა ერთმანერთის წინააღმდეგ ჩუმათ. მაგალითებრ:

შერიფ ფაშა ჯაყელმა გულში ბორიოტი შური ჩაიდვა და თავის სახლიკაცს, ზამით ფაშას დაუწყო მტრობა. ამ მტრობისათვის მან მალე იშოვნა ამხანაგები, ამათის დახმარებით შეადგინა თავისი პარტია, ამ პარტიის დახმარებით მომართა ძრახვა ზამით ფაშის მოქმედებაზედ.

ზამით ფაშას სწამებდნენ ქართველების ანუ გიაურების პატივისცემას, საქართველოს რუსის მთავარ მართველთან დაახლოვებას, შინაურ საქმეების დალატი, ოსმალოს მთავრობის მტრობას და ქართველებთან კავშირი—რუსის მთავრობის ერთგულებას, ბედშავ ქართველ შერიფ ფაშა ასეთ ჭორებს ავრცელებდა ქართველ მაჰმადიანებში და ხალხს აძულებდა ზამით ფაშას, ასევე აბეზღებდა ამას ოსმალეთის მთავრობის წინაშე სტამბოლში, ასეთსავე ჭორებს უგზავნიდა იმერეთის მეფე სოლომონ მეორეს.

მეფესა და ზამით ფაშაში დათესა სრული მტრობა და განხეთქილება.

ასეთის ცილისა და ბორიოტების წინაშე, არც ზამით ფაშას ეძინა, ესეც ხმარობდა ყოველ ღონეს, რომ შერიფ ფაშას არ ეჭაბნა მისთვის, ამათის ბორიოტებით ქართველი მაჰმადიანები გაიყო ორ პარტიათ. ერთი პარტია იყო შერიფ ფაშისა და მეორე პარტია ზამით ფაშისა. თავიანთ ბორიოტებით მალე ესენი ერთმანერთის დაუძინებელ მტრებათ გადაიქცნენ.

ამათმა შურმა და მტრობამ იქამდის საქმე მიაღწია, რომ ბოლოს, მათ თანამომხრეთ დაიკავეს ლეკები, ამით შექმნეს თავ თავიანთი პარტიათა ჯარისკაცები,—ამის მერე ეს ბედშავნი რას შვრებოდნენ. ერთმანერთის მომხრეებს ხოცავდნენ, სცარცვავდენ მათ და ასე და ამ გვარად ერთმანერთს მტრობდნენ და მით ღუპავდნენ ქართველი ერის საქმეებსაც.

ამათმა ბრძოლამ მოაბეზრა ქართველი მაჰმადიანები, ამ პარტიული ბორიოტებით დაცემა მთელი სამუსულმანო საქართველო, რასაც ოსმალოს ფაშები და ჯარისკაცები აკლებდნენ, იმას ამ ქართველ ფაშების ლეკები ოსმალებთან ასრულებდნენ. ხალხს მობეზრდა ამათი ბორიოტების ნახვა და მის ატანა. ამათი ბორიოტება მობეზრდა თვით ოსმალეთის მთავრობასაც.

ეს ქართველი ფაშები მთავრობასთან აბეზღებდენ ერთმანეთს და ბრალს სდებდენ ღალატზედ, რომ არა შენა ხარ მოღალატე და არა მეო, ამიტომ ოსმალოს მთავრობამაც იხმარა ყველა ბორიოტება, იმ დროს ზამით ფაშა სცხოვრებდა [illegible] ნის კარზედ. ამას თანახმად [illegible] მომხრეებიც [illegible] ცნენ ზამით ფაშას და თავის ამხანაგებით სულ დახოცეს.

ეს ამბავი არ იყო კარგი საქმე მით უფრო, რადგანაც შერიფ ფაშის მომხრეები ლაპარაკობდნენ, რომ ზამით ფაშა იმერეთში მეფე სოლომონის ჯარის მტრობით წავიდაო, იქ ეს სოლომონ მეფემ მოაკვლევინაო. ის კი არა და ეს მოკლული იყო ლეკებისაგანა და ლეკები ვისი მომხრენი იყვნენ, ამის არავინ არაფერი იცოდა.

ბოლოს გამოირკვა, რომ ზამით ფაშა სოლომონ მეფის კაცების მოკლული კი არ არის, არამედ იგი ლეკებმა მოკლეს, ეს ლეკები ვისი მომხრენი იყვნენ სოლომონ მეფის, შერიფ ფაშის, თვით ლეკების ყაჩაღები იყვნენ, ამის ძიებას აღარავინ გაჰყვა, ბოლოს შეიტყეს, რომ იგი მოკლეს ოსმალოს მთავრობის მომხრე ლეკებმაო.

ახლა ზამით ფაშის მომხრეები დაესხნენ შერიფ ფაშის მომხრეებს, დაუწყეს ხოცვა და ჯავრის ამოყრა, ამ გვარად დღე და ღამე ამ ქართველ მაჰმადიანი ფაშებისაგან გამართული იყო ცარცვა-გლეჯა, კაცის კვლა და ვინ იცის რა არ ხდებოდა კიდევ, რაც ქართველ მაჰმადიანებს დიდად აწუხებდა და ღუპავდა.

ამ გვარათ, შერიფ ფაშამ და ზამით ფაშამ ხალხს არ შეუსრულეს თავის დაპირება, ამათ არც ოსმალოს ფაშები გააძევეს, არც მათი ყაჩაღი ჯარი, არც მათი ქურდები და მცარცველები და ნაცვლად მის ამათ დაუწყეს ხალხს უფრო უარესად ცარცვა-გლეჯა და სხვაც ბევრი ასეთი, რაც ქართველი ერისთვის ერთობ მძიმე ასატანი იყო.

სწორეთ ამ დროს, სამუსულმანო საქართველოში სცხოვრებდა ერთი მდიდარი ქართველი მაჰმადიანი, სახელდობრ აბდულ აგა ხიმშიაშვილი, ანუ ხიმში ზადე. ეს კაცი გონიერი კაცი იყო და მასთან დიდათ მოძულე მის, რომ ჩვენი ქართველი ფაშები ეს რას გვიშვრებიან ჩვენაო. ოსმალოს ყაჩაღებზედ ესენი უფრო გვცარცვავენ და გვკლავენო. რას მოასწავებს ეს და რას ნიშნავსო. ამათგან ჩვენ თავი უნდა ვიხსნათ და მით ვიხსნათ ჩვენი საქართველოცაო.

ზ. ჭიჭინაძე.

(შემდეგი იქნება)

---

*) იბეჭდება ავტორის მართლწერით.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი


# მცხოვრებთა საყურადღებოდ.

ქ. ტფილისში ბინის და ტვირთ-ზიდვის ხარკის ჩამტარებელი კომისია წინადადებას აძლევს ყველა სახლის მეპატრონეებს, სახლთა მმართველებს, სახლთა კომენდანტებს და საზოგადოდ ყველა იმათ, ვისიც განკარგულებაში არის სახლი, რომ დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნების ერთი კვირის განმავლობაში, მოახდინონ გულდასმითი შესწორება სახლის დავთრების და თავის მდგმურთა დოკუმენტებისა და შესაფერ კომისარიატში წარადგინონ იმ პირთა სია, რომლებმაც კანონის ძალით უნდა გადაიხადონ ტვირთ-ზიდვის ხარკის ფული, თანახმად ქალაქის აღმასკომისა № 6, მაგრამ დღემდე არ აქვთ გადახდილი.

შრომისა და ტვირთზიდვის ხარკის ჩამტარებელი კომისის კონტროლიორებს ეძლევათ წინადადება, რათა ხელმეორედ აღნიშნულ ვადის განმავლობაში მოახდინონ გენერალური შესწორება გადასინჯვა სახლის დავთრების და მდგმურთა დოკუმენტების და წარმოადგინონ კომისიაში სახლის იმ მეპატრონეების, ან მათ შემცვლელთ სია, რომლებმაც არ მოიყვანეს სისრულეში ეს განკარგულება, აგრეთვე იმ პირთა სიაც, რომლებმაც გვერდი აუხვიეს შრომისა და ტვირთზიდვის ხარკის ფულის სახით მოხდას, მათ წინააღმდეგ შესაფერ ზომების მისაღებად.

გადასახადთა ბიუროს აგენტებს ევალებათ დაუყონებლივ შეუდგნენ ვაჭრების დოკუმენტების შემოწმებას და გადაცემა კომისიაში იმ პირთა სიისა, რომლებმაც გვერდი აუხვიეს აღნიშნულ გადასახადის მოხდას, თუ ასეთები აღმოჩნდებიან.

კომისიის თავმჯდომარე: თაქთაქიშვილი.
პასუხისმგებელი მდივანი
და კომისიის წევრი რუხაძე.

2—2

# ტფილისის აღმასკომის გადასახადთა ბიურო

# აცხადებს

რომ ვერის ბორანზე გადასვლის ფასი ენკენისთვის 21-დან დაწესებულია

# 2000 მანეთი

№ 42. 10—8.




საქართვ. უმაღ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. № 2 სტამბა კრუზენშტერნის ქუჩა.